საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 6 19 00697919

19/03/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **ეკა კვირკველიას**

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2019 წლის 12 მარტის N 60-01190711063 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განიხილა ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქ. N26-ში, შპს „ბუმბა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.10.040.031) პლასტმასის ნაკეთობათა ქარხნის შენობის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებ-თ-ან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედაგად დადგინდა, რომ „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული წესებისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, შესამუ-შავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღდეგო დაცვის ხარისხს. კერძოდ:

1. ვინაიდან საწარმოს შენობების დაპროექტებისას შენობა-ნაგებობათა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემების მიმართ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დასადგენად აუცილებელია ამ შენობების აფეთქება ხანძარსაშიში და ხანძარსაშიში კატეგორიების და ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრა,

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

საწარმოო/სასაწყობე დანიშნულების შენობისათვის/სათავსებისათვის აფეთქება ხანძარსაშიში და ხანძარსაშიში კატეგორიები და შენობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრული და მითითებული უნდა იყოს დაპროექტების დოკუმენტაციაში.

2. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს გარე ხანძარ-საწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, ქსელზე „თბილისის“ ტიპის არანაკლებ 3 სახანძრო ჰიდრანტის მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. გათვალისწინდეს, რომ SP 8.13130.2009 4.1 პუნქტის „შენიშვნის“ პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2; პუნქტები 8.6; 8.10. მოთხოვნების შესაბამისად.
საფუძველი:SP 8.13130.2009-ის პ. 5.6 ცხრილი 3; 8.6; 8.10.

3. სახანძრო ჰიდრანტის (წყლის რეზერვუარის), აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით).
საფუძველი: "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

4. ვინაიდან გათვალისწინებულია სამრეწველო სათავსის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარებით აღჭურვა, საჭიროა სახანძრო რეზერვუარის სატუმბო სადგურისათვის ადგილის გამოყოფა. ვინაიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მითითებული დასაპროექტებელი რეზერვუარის მოცულობა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ რეზერვუარის მოცულობაში უნდა შევიდეს ხანძრის ჩაქრობის ხარჯი ავტომატური სისტემისათვის, სახანძრო ონკანებისათვის და სახანძრო ჰიდრანტებისათვის, ხოლო ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარის სატუმბო სადგურის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნას SP 5.13130.2009 პ. 5.10 და SP 8.13130.2009 პ. 7-ის მოთხოვნები (მათი განთავსება, კედლების და გადახურვის ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესასვლელები და მათი ზომები, აგრეგატების განლაგება, ჰაერის ტემპერატურა სათავსში, ტუმბოების რაოდენობა და ა.შ).

5. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) შენობასა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმედეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება მიმდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმედეგობის ხარისხის თაობაზე. შესაბამისად, მითითებული უნდა იქნას მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის უნდა განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

6. მანძილი საინჟინრო დანადგარების მქონე საწარმოო სათავსების ყველაზე შორეული სამუშაო ადგილიდან შენობიდან უშუალოდ გარეთ საევაკუაციო გასასვლელამდე SP 56.13330.2011-ის პირველი ცხრილის შესაბამისად განსაზღვრული იქნას არანაკლებ 40 მ.

7. კიბის ქვეშ საკუჭნაოს მოწყობა არ შეილება.
საფუძველი: SP 1.13130.2009 პ. 4.4.4

8. კიბეს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1,2 მ^2 ღიობები ბუნებრივი განათებისათვის.
საფუძველი: SP 1.13130.2009 პ. 4.4.7

9. საოფისე ფართი გამოყოფილი იქნას საწარმოო სათავსისაგან არანაკლებ 150 წთ ცეცხლმედეგობის კედლით, რომელშიც მოწყობილი იქნება არანაკლებ 60 წთ ცეცხლმედეგობის კარებები და არანაკლებ 150 წთ გადახურვით. ასევე მექანიკური საამქრო გამოყოფილი იქნას მომიჯნავე სათავსებისაგან არანაკლებ 150 წთ ცეცხლმედეგობის კედლებითა და გადახურვებით და 60 წთ ცეცხლმედეგობის კარებები.
საფუძველი: SP 4.13130.2013 პ. 6.1.41; 6.1.43

10. შენობაში გათვალის-წინდეს ხანძრის შესახებ შეტყობინების და ევაკუაციის მართვის მე-2 ტიპის სისტემების მონტაჟი, რომლის მახასიათებლებია:
ა) ხმოვანი შეტყობინება (სირენა, ტონირებული სიგნალი და სხვა) - სავალდებულოა;
ბ) მაშუქი მოციმციმე მაუწყებელი - დასაშვებია;
გ) სინათლის მაუწყებელი წარწერით „გასასვლელი“ - სავალდებულოა.
საფუძველი: SP 3.13130.2009 პ. 7 ცხრილი 2; პ.6 ცხრილი 1.

11. შენობაში უნდა გათვალისწინდეს შესაბამისი სათავსის გამოყოფა, სადაც უნდა იქნას დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მიმღებ-მაკონტროლებელი ხელსაწყოები. მართვის ცენტრში უნდა იმყოფებოდეს მორიგე პერსონალი დღე-ღამის განმავლობაში. სათავსი განთავსებული უნდა იქნეს როგორც წესი, პირველ სართულზე. მანძილი ამ სათავსის კარებიდან უშუალოდ გარეთ გასასვლელამდე არ უნდა აღემატებოდეს 25 მ.
საფუძველი: SP 5.13130.2009 პ.13.14.5.

12. შენობაში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელის მონტაჟისას გათვალისწინდეს, რომ თითოეული ლულის წყლის ჭავლის ხარჯი უნდა იქნას 5 ლ/წმ.
საფუძველი: SP 10.13130.2009 პ. 4.1.1. ცხრილი 1.

13. ხანძრის ჩაქრობის, სახანძრო სიგნალიზაციის, ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ევაკუაციის მართვის, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების ელექტრომომარაგების საიმედოობა მიღებული იქნეს „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ მიხედვით, პირველი კატეგორიის მომხმარებლისთვის განკუთვნილი მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაციის მიხედვით გაურკვეველია სათადარიგო ელექტრომომარაგების მოწყობის საკითხები, შესაბამისად შესადგენია და წარმოსადგენია განსახილველად ამ სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია. გათვალისწინდეს, რომ თუ მოხდება შენობის რომელიმე სათავსში გენერატორის განთავსება დაცული უნდა იქნეს SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნა.

საფუძველი: SP 5.13130.2009 პ. 15.1

14. ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს (როგორც ტექსტურს ისე გრაფიკულს) შენობაში მოსაწყობ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შესახებ (სათანადო ინფორმაციასა და მონაცემების განზოგადოება კი წარმოებს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შემუშავების გზით) და რადგანაც შეუძლებელია ამ სისტემების ტექნოლოგიური სქემებით მოხდეს შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაცვით. კერძოდ:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო სრულყოფილი კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ზურაბ თალაკვაძე